



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

A handwritten signature in blue ink, appearing to be "N. Khashidze", is written over a dashed line.

ნოე ქაშიზაძე

08 აპრილი 2014 წელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფინანსური აუდიტის ანგარიში № 5/129

2013 წლის 1 იანვარი - 2014 წლის 1 იანვარი

შინაარსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	3
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას.....	3
სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.....	5
ფორმა N1 - ბალანსი 2013.....	8
ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013.....	9
ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ 2013.....	10
ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ 2013.....	11
ფორმა N6- ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ 2013.....	12
ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები.....	13

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობას

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს (შემდეგში სამინისტრო) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ბალანსს 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს: ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიშს წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიშს ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიანად წარდგენაზე "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ №364 ბრძანების შესაბამისად.

მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით, ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს

აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსატქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ 2013 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით ორგანიზაციას არასწორად და არასრულად აქვს წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების შემადგენელი ფორმა N1, ფორმა N2 და ფორმა N5, კერძოდ:

არაფინანსური აქტივები

- ქ. თბილისში სამინისტროს შენობის სამუშაო მდგომარეობაში შენახვისა და მიმდინარე შეკეთების ხარჯები - 48,903.15 ლარის ოდენობით, არასწორადაა განხორციელებული წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული „არაფინანსური აქტივები“-ს მუხლიდან და არამართებულადაა მიეკუთვნებული (აღრიცხული) სამინისტროს ბალანსის მუხლში - „შენობები და ნაგებობები“ (ხარჯები უნდა აღრიცხულიყო როგორც „საქონელი და მომსახურება“, კერძოდ „ოფისის ხარჯების“ კლასიფიკატორში). შესაბამისად 2013 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, ზედმეტადაა გაზრდილი 48,903.95 ლარით; ამავდროულად ამ თანხით: არასწორადაა გაზრდილი საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლი „არაფინანსური აქტივები“ და შემცირებულია საბიუჯეტო კლასიფიკატორის მუხლი „საქონელი და მომსახურება“¹;
- 2013 წელს სამინისტროს უზნაძის N68 შენობის მე-3 და მე-4 სართულებზე დამონტაჟდა გათბობის ცენტრალური სისტემა. გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 9,349.00 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ ამ თანხით სამინისტრომ გაზარდა შენობა-ნაგებობის ღირებულება, აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით, 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული N502 მიღება-ჩაბარების აქტით სსიპ ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლიდან უსასყიდლოდ გადმოცემული და ზემოაღნიშნული გათბობის ცენტრალური სისტემის დამონტაჟებისას გამოყენებული, 20 ცალი პანელური

¹ „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 3013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-13 მუხლი (პროგრამული კოდი 0401); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები, 24-ე მუხლის მე-15 პუნქტი და მე-16 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-17, მე-18 და მე-20 პუნქტები და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 25.08.2010 წლის N672 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია (ოფისის ხარჯები (223) და ძირითადი აქტივები (311)).

რადიატორის ფასი არ განსაზღვრულა და შესაბამისად არ გაზრდილა შენობა-ნაგებობის საბალანსო ღირებულება².

- მიმდინარე აუდიტთან დაკავშირებით ჩატარებული ინვენტარიზაციით გამოვლინდა 8,600.00 ლარის დანაკლისი, კერძოდ:

1. სამინისტროს ქვეპროგრამის „27 სექტემბერს სოხუმის დაცემის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიების“ ფარგლებში შეძენილი 3,800.00 ლარის ღირებულების ხატი. სამინისტროს ინფორმაციით აღნიშნული ხატი („ყოველთა მწუხარეთა სიხარული“) ამჟამად დაბრძანებულია წმინდა სამების ლავრის ტაძარში, რაზეც ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტში არ იყო გაფორმებული შესაბამისი გადაცემის აქტი;

2. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის 2013 წლის 12 დეკემბრის N466 ბრძანების შესაბამისად, ბავშვთა ქალაქ „მზიურის“ ტერიტორიაზე მდებარე „ქვების პარკში“ ქართველთა და აფხაზთა მრავალსაუკუნოვანი ერთიანობის უკვდავსაყოფად დამზადებული იქნა მემორიალური ქვა, რომლის საერთო ღირებულება შეადგენს 4,800.00 ლარს (კლდის ლოდის ტრანსპორტირება - 2,500.00 ლარი, მისი დამუშავება 2,300.00 ლარი). სამინისტროს ინფორმაციით აღნიშნული მემორიალური ქვა ამჟამად აღმართულია ბავშვთა ქალაქ „მზიურში“, რაზეც ინვენტარიზაციის ჩატარების მომენტში არ იყო გაფორმებული შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

ზემოაღნიშნული ფასეულობების გაწერასთან (გადაცემასთან) დაკავშირებით სამინისტროს რაიმე დოკუმენტი არ შეუდგენია და არც შესაბამისი ხელშეკრულებები გაუფორმებია მოცემული ფასეულობების შენახვისა და განთავსების თაობაზე. სწორედ ეს გარემოება გახდა საფუძველი იმისა, რომ 2013 წელს საინვენტარიზაციო კომისიის მიერ ჩატარებული ინვენტარიზაციით დაფიქსირდა მატერიალური ფასეულობების დანაკლისები³.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების გარდა, სამინისტროს 2013 წლის ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სამინისტროს ფინანსურ მდგომარეობასა და საქმიანობის ფინანსურ შედეგებს.

სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

გვსურს, ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ გარემოებებზე:

არაფინანსური აქტივები

(შენობა-ნაგებობები)

აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 10.01.2012 წლის N1/02 ბრძანების საფუძველზე სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის (ქ. თბილისი, უზნაძის N68-ში საერთო ფართი 1933 მ²) პირველ და მეხუთე სართულზე,

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 24-ე მუხლის მე-15 მე-16 პუნქტები.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N 1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი;

ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია (სულ 349.30 მ² ფართზე) და ფუნქციონირებს სამინისტროსთან ერთად სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) და სხვა სუბიექტები⁴;

(ხელოვნების ნიმუშები)

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების (12.12.2013 წლის N466) საფუძველზე, ბავშვთა ქალაქ მზიურში მდებარე „ქვების პარკში“ აფხაზეთის ქვის მონტაჟის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4,800.00 ლარი, აქედან 2,500.00 ლარის ფარგლებში ითვალისწინებდა კომპოზიციისთვის საჭირო მასიური კლდის ლოდის თბილისამდე ტრანსპორტირებას. ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო ენგურს გაღმა ნაპირიდან კლდის მასიური ლოდის (ზომით 1.20 x 1.0 მეტრი) სახით. კომპოზიციის შესაქმნელად საჭირო მასალა იყო უფასო და ფინანსური ხარჯები უკავშირდებოდა მხოლოდ ტრანსპორტირებასა (2,500.00 ლარი) და ქვაზე კვეთის სამუშაოების შესრულებას (2,300.00 ლარი). კომპოზიციისათვის საჭირო კლდის ლოდის (ზომით 1.20 მ³) ქ.ზუგდიდიდან თბილისამდე ტრანსპორტირება განხორციელდა შპს „შატკო“-ს მიერ მაღალი ღირებულებით - 2,500.00 ლარად.

ხელფასები

სამინისტროს მიერ არ არის დადგენილი და ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა - სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება, რაც როგორც წესი ხელფასების დარიცხვის საფუძველიცაა⁵. შესაბამისად არასრულყოფილია კონტროლი, რომელიც უნდა განახორციელოს სამინისტროს შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

მინისტრის ბრძანებებისა და ხელშეკრულებების საფუძველზე 2013 წლის მთელი ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში დასაქმებული იყო შტატგარეშე 11 მომუშავე და მათზე ანაზღაურებულია სულ 45,706.00 ლარი.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად; ფაქტობრივად კი წარმოდგენილი ხელშეკრულებების ანალიზით გამოვლინდა, რომ 3 პირი აყვანილია მთელი წლის პერიოდში მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად. კერძოდ, მათზე დაკისრებული იყო: საბიუჯეტო და საფინანსო და შესყიდვების სამსახურის დამხმარე ბუღალტრის მოვალეობის შესრულება (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით); საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს დამხმარე სპეციალისტის მოვალეობის შესრულება (თვეში 500 ლარის ანაზღაურებით); პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველოს დამხმარე

⁴ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-4 პუნქტი და 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-15 პუნქტი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის მე-12 მუხლი.

ოპერატორის მოვალეობის შესრულება (თვეში 570 ლარის ანაზღაურებით). ჯამში აღნიშნულ შტატგარეშე მოსამსახურეებზე ანაზღაურებულია სულ 19,680.00 ლარი⁶.

წარმომადგენლობითი ხარჯები

2013 წელს წარმომადგენლობითი ხარჯების საკასო ხარჯი შეადგენს 1,500.00 ლარს. წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების (რომლებშიც რიგ შემთხვევაში ასახულია მხოლოდ მოთხოვნა თანხების გამოყოფის შესახებ), ანგარიშ-ფაქტურებისა და სასაქონლო ზედნადებების თანახმად შეძენილია სასურსათო პროდუქტები, თუმცა 6 შემთხვევაში 740.98 ლარზე იმის ამსახველი დოკუმენტები თუ რა მიზნით და რა საჭიროებისათვის იქნა გაწეული ხარჯები, სამინისტროს მიერ წარმოდგენილი არ არის.

სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ ჩატარებული 17 გამარტივებული ელექტრონული ტენდერიდან 4 შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა მიერ დაფიქსირებულია საბოლოო ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად (20%-ზე მეტით) დაბალია სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, რაც მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის არაშესაბამის დაგეგმვაზე, კერძოდ ტენდერის გამოცხადებამდე სამინისტროს არა აქვს მეტი ყურადღება დათმობილი ბაზრის კვლევასა და ანალიზისათვის, მისთვის საჭირო ხარისხის შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენისა და სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით⁷.

სახელმწიფო პროგრამები

„ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის“ პროგრამის (ქვეპროგრამის კოდით 06 09 01) შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით ბენეფიციარებად განისაზღვრნენ მხოლოდ ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი N1“-ის, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი N2“-ის და ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი N1“-ის აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები. მოცემულ შემთხვევაში არ არის სრულად დაცული წლიური საბიჯეტო კანონის მოთხოვნები, ვინაიდან კანონის მოთხოვნები ითვალისწინებდა არა მარტო კონკრეტული სკოლების, არამედ საერთოდ თბილისის ხელოვნების სკოლებში მოსწავლე, აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლების დაფინანსებას. მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში მოცემული კონკრეტული სკოლის მოსწავლეთა დაფინანსებამ შეადგინა 50,900.00 ლარი⁸. შედეგად თბილისის სხვა დანარჩენი სკოლის ნიჭიერ მოსწავლეებს, რომელთა ფინანსური მდგომარეობა შესაძლებელია უფრო მწირი, ხოლო ნიჭიერების შესაძლებლობა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, არ მიეცათ შესაძლებლობა ესარგებლათ მოცემული პროგრამით.

6 „საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი.

7 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ და „თ“ ქვეპუნქტები.

8 „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-12 მუხლის 4.3.1 ქვეპუნქტი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N1 - ბალანსი 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

	შენიშვნა	ნაშთი წ/დ	ნაშთი წ/ზ
აქტივები			
ფინანსური აქტივები და სხვა მოთხოვნები			
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში			
ანგარიში ხაზინაში საბიუჯეტო სახსრებით ორგანიზაციის საკასო ხარჯებისათვის			
საანგარიშსწორებო (მიმდინარე) ანგარიში ხაზინაში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის			
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	3		
მოთხოვნები მივლინებით			
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით		160	
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით		11041	11041
ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები		2115	
არაფინანსური აქტივები			
სხვა მატერიალური მარაგები		64	
შენობა-ნაგებობები		233,972	299,867
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		73,462	59,525
სხვა ძირითადი აქტივები		12,465	10,885
ფასეულობები		9,305	18,148
ბალანსი		342,584	399,466
ვალდებულებები			
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	4		
გადასახდელი დღგ			
ვალდებულებები მივლინებით			
ვალდებულებები წინასწარ მიღებული სხვა შემოსავლებით			
ვალდებულებები დეპონენტების მიმართ		646	646
კაპიტალი			
წმინდა ღირებულება		341,938	398,820
გაუნაწილებელი მოგება			
სულ კაპიტალი			
ბალანსი		342,584	399,466
საცნობარო მუხლები			
პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები			
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში			3742
ამორტიზებული ძირითადი აქტივები		59598	72519
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები		47567	55873

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N2 - ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით 2013 (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ხარჯების ჩამონათვალი	შენიშვნა	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებ. გეგმით	ვალდებუ ლება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრ ივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის
1.1 შრომის ანაზღაურება		593,130	612,230	1,094,412	1,094,412	1,094,412	1,118,063	
1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო		540,120	528,300	528,300	528,300	528,300		
1.1.1.3 პრემია	5	53,010	83,930	82,930	82,930	82,930		
1.2 საქონელი და მომსახურება		241,010	243,766.30	234,265	234,265	234,265		
1.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება		45,720	45,720	45,720	45,720	45,720		
1.2.2 მივლინებები		2,000	3,341	3,336	3,336	3,336		
1.2.3 ოფისის ხარჯები		50,590	49,522	43,739	43,739	43,739		
1.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები		1,500	1,500	1,500	1,500	1,500		
1.2.6 სამედიცინო ხარჯები								
1.2.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები								
1.2.8. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	5	30,000	30,307.30	28,189	28,189	28,189		
1.2.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება		111,200	113,376	111,795	111,795	111,795		
1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება							21,312	21,312
1.5 სუბსიდიები		6,000	6,000	6,000	6,000	6,000		
1.7 სოციალური დახმარება		182,100	172,057	171,953	171,953	171,953		
1.7.2.1 ფულადი ფორმით		179,100	169,557	171,953	171,953	171,953		
1.7.2.2 სასაქონლო ფორმით		3,000	2,500	2,500	2,500	2,500		
1.8 სხვა ხარჯები		65,500	70,064	69,964	69,964	69,964		
1. სულ ხარჯები		1,087,740	1,104,117.30	1,094,412	1,094,412	1,094,412	1,118,063	23,651

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N3 - ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

სადებეტო ბრუნვა	
მომუშავეთა ანაზღაურება	(612,230)
საქონელი და მომსახურება	(236,604)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(22,892)
<i>მ.შ. ფიზიკური ცვეთა</i>	21,312
<i>სუბსიდიები</i>	6,000
სოციალური უზრუნველყოფა	(171,953)
სხვა ხარჯები	69,964
აქტივების უსასყიდლოდ გასვლა	(5,194)
<i>მ.შ. არაფინანსური აქტივები</i>	5,194
<i>მატერიალური მარაგების</i>	
<i>არაწარმოებული აქტივების</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები</i>	
<i>ბიუჯეტის წინაშე სხვა ვალდებულებები</i>	
სულ სადებეტო ბრუნვა	(1,124,837)
სულ ჯამი	1,124,837
ნაშთი წლის დასაწყისისათვის 01/01/2011	341,939
საკრედიტო ბრუნვა	
<i>ბიუჯეტი და მიღებული დაფინანსება</i>	1,172,315
<i>შემოსავლები</i>	
<i>მ.შ. გრანტები</i>	
<i>აქტივების უსასყიდლოდ მიღება</i>	9,403
<i>მ. შ. არაფინანსური აქტივები</i>	9,403
<i>არაწარმოებული აქტივები</i>	
სხვა ეკონომიკური ნაკადები	
<i>მ.შ. მოგება ფლობიდან</i>	
აქტივების სხვა მოცულობითი ცვლილებები	
<i>სულ საკრედიტო ბრუნვა</i>	1,181,718
სულ ჯამი	1,523,657
ნაშთი პერიოდის ბოლოს	398,820

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N5 - ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

არაფინანსური აქტივების დასახელება	შენიშვნა	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვით	გრანტებით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულიდან უსასყიდლოდ	ნებაყოფლობითი ტრანზაქციებით გარდა გრანტებისა	საკუთარი სახრებით	გაყიდვით	იმავ დონის სახელმწიფო ერთეულზე უსასყიდლოდ	გრანტები	სხვა ხარჯები	საქონელი და მომსახურება	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	ნაშთი წლის (პერიოდის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები		2179	20364									22543		
სტრატეგიული მარაგები														
სხვა მატერიალური მარაგები		2179	20364									22543		
ფულადი დოკუმენტები		2,115	1,678									3793		
სათადარიგო ნაწილები			4573									4573		
სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები		64	14113									14177		
2. ძირითადი აქტივები		319899	73104		1789				1623				22892	370277
შენობა-ნაგებობები		233972	69022										3172	299867
არასაცხოვრებელი შენობები		233972	69022										3172	299867
მანქანა დანადგარები და ინვენტარი		73462	4082		1789				1623				18185	59525
სატრანსპორტო საშუალებები		44217											9512	34705
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი		29245	4082		1789				1623				8673	24820
სხვა ძირითადი აქტივები		12465											1580	10885
არამატერიალური ძირითადი აქტივები		12465											1580	10885
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები			8306		3571				3571					8306
4. ფასეულებები		9305	4800		4043									18148
ხელოვნების ნიმუშები			4800											4800
სხვა ფასეულობები		9305			4043									13348

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ფორმა N6 - ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2013 წლის 31 დეკემბერს

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები															
	მაჩვენებელთა დასახელება	პირველი კვარტლის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში		საანგარიშო პერიოდში გასვლა		საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
				შეძენა	სხვა სახით	ექსპლუატა	რ-ბა								
		მუშა მდგომარეობაში	არამუშა მდგომარეობაში	რ-ბა	რ-ბა	რაოდენობა	რ-ბა	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგო ნაწილები
1	სატრანსპორტო საშუალებები სულ:	3						15270.82	1307.30	10752.47	3211.05	17386.12	1307.30	12867.77	3211.05
	მ.შ. მსუბუქი მანქანები	2						14891.86	1183.30	10752.47	2596.09	17007.16	1183.30	12867.77	2956.09
	ჯიპები და პიკაპები														
	სპეცმანქანა	1						378.96	124		254.96	378.96	124		254.96
2	მანქანა დანადგარები და ინვენტარი და საოფისე ტექნიკა სულ	190	2	3	10										
	მობილური ტელეფონები		1		4										
	ტელევიზორები	5	1	1											
	კომპიუტერები	53			2										

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო

ბუღალტრული ანგარიშგების შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სამინისტროს დაფინანსების წყარო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი; მას, როგორც მხარჯავ დაწესებულებას, ბიუჯეტის კანონით მინიჭებული აქვს ორგანიზაციული კოდი (1032).

სამინისტრო თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოსა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციების, საქართველოსა და აფხაზეთის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებისა და აფხაზეთის მთავრობის 2010 წლის 5 თებერვლის N6 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით.

სამინისტრო არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, მეცნიერების, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სფეროებში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი ორგანო. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სამინისტრო ახორციელებს თავის დაქვემდებარებაში მყოფი ყოველი რგოლის საქმიანობის კოორდინაციას და კონტროლს.

სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებია:

- მინისტრის აპარატი (საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო);
- ადმინისტრაციულ და იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტი (იურიდიული, საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველო, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველო);
- განათლების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი (განათლების სამმართველო, კულტურის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამმართველო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამმართველო);
- პროგრამებისა და საინფორმაციო – ანალიტიკური დეპარტამენტი (პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველო);
- შიდა აუდიტის სამსახური, საბიუჯეტო-საფინანსო და შესყიდვების სამსახური.

სამინისტროს ტერიტორიული ორგანოებია: გალის რაიონის და ზემო აფხაზეთის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრები.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირებია (სსიპ):

- აფხაზეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი;
- აფხაზეთის მოზარდ-მაყურებელთა სახელმწიფო თეატრი - „თეთრი ტალღა“;

- სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი;
- „აფხაზეთის სპორტული მომზადების ცენტრი“;
- კინოცენტრი - „აფხაზეთი“;
- „აფხაზეთის მოზარდ-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ცენტრი“.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ კანონით სამინისტროსათვის განსაზღვრული მომუშავეთა 56 შტატი სრულად იყო დაკომპლექტებული.

2. საადრიცხო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;
- ბ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- გ) ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანება და სხვამარეგულირებელი ნორმატიული აქტები.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს ერთ წელს, რომელიც მთავრდება 31 დეკემბერს.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

წარმოდგენილი ბუღალტრული ანგარიშგების საანგარიშგებო ვალუტაა – ქართული ლარი.

3. მოთხოვნები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ირიცხებოდა მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით 11,041.00 ლარი, რაც წარმოადგენდა 2008 წლის 11 აგვისტოს რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შედეგად ოკუპირებულ (ზემო აფხაზეთის) ტერიტორიაზე დარჩენილ არაფინანსურ აქტივებს.

4. ვალდებულებები

სამინისტროში 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ვალდებულებები არ ირიცხებოდა.

5. საქონელი და მომსახურება

- ა) სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, რომელიც ეხებოდა შტატგარეშე მუშაკებს, გაირკვა, რომ:

ნაწილი კვარაცხელია - დაინიშნა შტატგარეშე მოსამსახურედ (2013 წლის 3 იანვრიდან) და დაეკისრა საბიუჯეტო და საფინანსო და შესყიდვების სამსახურის (დაკომპლექტებული იყო

5 საშტატო ერთეულით) დამხმარე ბუღალტრის მოვალეობის შესრულება. მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 6,840.00 ლარი.

იამზე პაპასკირი - დაეკისრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს (დაკომპლექტებული იყო 2 საშტატო ერთეულით) დამხმარე სპეციალისტის მოვალეობის შესრულება (2013 წლის 3 იანვრიდან). მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 6,000 ლარი.

რუსუდან ემუხვარი - დაეკისრა პროგრამების, ანალიტიკური საქმიანობისა და კვლევების სამმართველოს (დაკომპლექტებული იყო 8 საშტატო ერთეულით) დამხმარე ოპერატორის მოვალეობის შესრულება (2013 წლის 3 იანვრიდან). მასზე ანაზღაურებულია 2013 წელს - სულ 6,840.00 ლარი.

ბ) სამინისტროს სარგებლობაში არსებულ ავტომანქანებზე საწვავის ლიმიტები და გაწეული ხარჯები შეადგენდა:

(ლარი)

დასახელება	ყოველთვიური ლიმიტი (ლიტრი)		წლიური ლიმიტი (ლიტრი)	სულ ხარჯი	
	01.01.13-19.12.13	19.12.13-01.01.14		ლიტრი	ლარი
პერსონალური საგებლობის	600	500	7,100	3,910	7,504
სამსახურებრივი სარგებლობის	400	300	4,700	2,760	5,363
ჯამი	100	800	11,800	6,670	12,867

6. არაფინანსური აქტივები

შენობა-ნაგებობები

- ქ. თბილისში, უზნაძის ქ. N68-ში მდებარე შენობა-ნაგებობა N6 (საერთო ფართი-627 მ²) და შენობა-ნაგებობა N8 (საერთო ფართი-1933 მ²) და მასზედ წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომელზეც განთავსებული იყო და ფუნქციონირებდა სამინისტრო, იურიდიულად სამინისტროს სარგებლობის უფლებით გადმოეცა აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის სამინისტროს 10.01.2012 წლის N01/08 ბრძანების საფუძველზე 2012 წლის 10 იანვარს. აღნიშნული ქონება სამინისტროს ბალანსზე აღირიცხა 233,972.00 ლარის ღირებულებით.

აფხაზეთის ა/რ ეკონომიკის მინისტრის 10.01.2012 წლის N1/02 ბრძანების საფუძველზე სამინისტროსათვის სარგებლობის უფლებით გადმოცემულ შენობა-ნაგებობის (ქ. თბილისი, უზნაძის N68-ში საერთო ფართი 1933 მ²) პირველ და მეხუთე სართულზე, ყოველგვარი სამართლებრივი (კანონიერი) საფუძვლის გარეშე, განთავსებულია (სულ 349.30 მ² ფართზე) და ფუნქციონირებს სამინისტროსთან ერთად სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი რიგი საჯარო სამართლის იურიდიული პირები (სსიპ) და სხვა სუბიექტები, კერძოდ:

- ა(ა)იპ კომპლექსური სპორტული სკოლა - დაკავებული აქვს 16.07 მ² ფართის ერთი ოთახი;
- სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტი - დაკავებული აქვს 98 მ² ფართის ხუთი ოთახი;

- აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სისტემის მუშკთა სამოქალაქო კავშირი „იმედი“- დაკავებული აქვს 18.50 მ² ფართის ერთი ოთახი;
 - სსიპ „კონოცენტრი აფხაზეთი“ - დაკავებული აქვს 33.79 მ² ფართის ერთი ოთახი;
 - სსიპ „სპორტული მომზადების ცენტრი“ - დაკავებული აქვს 18 მ² ფართის ერთი ოთახი;
 - სსიპ „გალის საგანმანათლებლო რესურსცენტრი“ - დაკავებული აქვს 66.94 მ² ფართის სამი ოთახი;
 - სოხუმის ა. შერვაშიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი - დაკავებული აქვს 98 მ² ფართის სამი ოთახი.
- 2013 წლის ბოლოს შენობა-ნაგებობების საბალანსო მუხლი, გაზრდილია ქ. თბილისში სამინისტროს შენობის სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე გაწეული 48,903.15 ლარის დანახარჯებით.

სარემონტო სამუშაოების შესასრულებლად ხელშეკრულებები გაფორმდა ი/მ „მანანა ჭაბაშვილ“-თან: 26.09.2013 წ. N255 (რასაც თან ერთვის შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების თაობაზე) - 42,904.00 ლარის და 19.11.2013 წლის N350 - 5,999.99 ლარის შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

- 2013 წელს სამინისტროს უზნადის N68 შენობის მე-3 და მე-4 სართულებზე დამონტაჟდა გათბობის ცენტრალური სისტემა. გაწეული მომსახურების ღირებულებამ შეადგინა 9,349.00 ლარი. მოცემული ღირებულებით სამინისტრომ გაზარდა შენობა-ნაგებობის ღირებულება. მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული N502 მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, სსიპ ქალაქ თბილისის N203 საჯარო სკოლამ უსასყიდლოდ გადმოსცა, ხოლო სამინისტრომ მიიღო მოცემული სკოლის სარგებლობაში არსებული 20 ცალი პანელური რადიატორი, რომელიც მოხმარდა ზემოაღნიშნული გათბობის ცენტრალური სისტემის დამონტაჟებას, თუმცა ამ შემთხვევაში სამინისტრომ არ გაზარდა 20 ცალი პანელური რადიატორის ღირებულებით შენობა-ნაგებობის საბალანსო ღირებულება, ვინაიდან სამინისტროს ინფორმაციით გადმოცემის მომენტში ვერ მოხერხდა რადიატორების ღირებულების მოძიება ან დადგენა და მათი ბალანსზე აყვანა.

ხელოვნების ნიმუშები

- თბილისში, ბავშვთა ქალაქ მზიურში მდებარეობს „ქვების პარკი“, სადაც განთავსებულ სიმბოლურ ქვებზე დატანილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის გამოჩენილ მოღვაწეთა სახელები და გვარები. იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, აჭარისა და სხვა რეგიონებს შორის არ იყო წარმოდგენილი აფხაზეთი. ამდენად, გადაწყდა პარკში დამონტაჟებულიყო პირობითად აფხაზეთის აღმნიშვნელი ქვაც. ავტორის ჩანაფიქრით, კომპოზიციის შესაქმნელად სიმბოლური დატვირთვის მატარებელი უნდა ყოფილიყო თავად ქვის წარმომავლობაც, რომლის თბილისამდე ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო ენგურს გაღმა ნაპირიდან კლდის მასიური

ლოდის (ზომით 1.20 x 1.0 მეტრი) სახით, ხოლო ადგილზე შესრულებოდა ქვის მასალის ცალკე ფრაგმენტების დამუშავება. კომპოზიციის შესაქმნელად საჭირო მასალაში თანხა გადახდილი არ ყოფილა და ფინანსური ხარჯები უკავშირდებოდა მხოლოდ ტრანსპორტირებასა და ქვაზე კვეთის სამუშაოების შესრულებას. ამისთვის აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების (12.12.2013 წლის N466) საფუძველზე სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 4,800.00 ლარი, რომელიც ითვალისწინებდა კომპოზიციისთვის საჭირო მასიური კლდის ლოდის თბილისამდე ტრანსპორტირებას ზემოაღნიშნული სამუშაოების შესრულებით. კომპოზიციისათვის საჭირო კლდის ლოდის ტრანსპორტირება ქ.ზუგდიდიდან თბილისამდე განხორციელდა შპს „შატკო“-ს მიერ 2,500.00 ლარად, ხოლო მემორიალურ ქვაზე კვეთისა და ქვის სამუშაოებით მომსახურებისთვის ი.მ „გოჩა ჭელიძე“-ს აუნაზღაურდა 2,300.00 ლარი. ამჟამად ეს კომპოზიცია განთავსებულია ბავშვთა ქალაქ მზიურის „ქვების პარკში“.

7. სახელმწიფო შესყიდვები

სამინისტროს მიერ 2013 წელს განხორციელებულ შესყიდვებზე გაფორმებულია 413 ხელშეკრულება, საიდანაც 393 შემთხვევაში ჩატარებულია გამარტივებული შესყიდვა და 17 შემთხვევაში გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ხოლო ავტომატური საწვავის და ფიჭური სატელეფონო კავშირის მომსახურების შესყიდვები განხორციელდა კონსოლიდირებულ ტენდერში მონაწილეობის გზით.

2013 წელს განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების საშუალება	ხელშეკრულების რაოდენობა	(ლარი) გადახდა
გამარტივებული შესყიდვა	393	132,292.04
გამარტივებული ელექტრონული ტენდერი	17	109,550.99
კონსოლიდირებული ტენდერი	3	13,385.49
ჯამი	413	255,228.52

აუდიტის პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების წლიური და კორექტირებული გეგმები, ასევე მიმდინარე და განხორციელებული შესყიდვების ანგარიშები სააგენტოში წარდგენილია დადგენილი ვადების დაცვით.

საგულისხმოა, რომ სამინისტროს მიერ ჩატარებული 17 გამარტივებული ელექტრონული ტენდერებიდან 4 შემთხვევაში ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთა მიერ დაფიქსირებულია საბოლოო ფასები, რომლებიც მნიშვნელოვნად (20%-ზე მეტით) დაბალია სამინისტროს მიერ განსაზღვრული შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, რაც მიუთითებს სახელმწიფო შესყიდვების გეგმის არაშესაბამის დაგეგმვაზე, კერძოდ ტენდერის გამოცხადებამდე სამინისტროს არა აქვს მეტი ყურადღება დათმობილი ბაზრის

კვლევასა და ანალიზისათვის, მისთვის საჭირო ხარისხის შესყიდვის ობიექტების საბაზრო ღირებულების დადგენისა და სავარაუდო ღირებულების ადეკვატურად განსაზღვრის მიზნით.

მნიშვნელოვნად დაბალი ფასები წარმოდგენილია შემდეგ შესყიდვებში:

სატენდერო განცხ. N	მომწოდებელი	სამუშაოს ტიპი	ლარი			
			სავარაუდო ღირებულება	საბოლოო შეთავაზებული თანხა	სხვაობა (5-4)	% (5/4)
1	2	3	4	5	6	7
SPA130026256	შპს "ვი აი პი პრინტი"	თემურ ხაჯბას ლექსების კრებულის ბეჭდვა	1,240	798	442	36%
SPA130023722	ი.მ "მანანა ჭაბაშვილი"	მე-3 და მე-5 სართ. რემონტი	8,863	6,000	2,863	32%
SPA130019995	ი.მ "მანანა ჭაბაშვილი"	მე-3 , მე-4 სართ. და 1-ლი სართ.ფოიეს რემონტი	57,722	41,998	15,724	27%
SPA130018331	ი.მ "ვახტანგ იაკობაშვილი"	ცენტრალური გათბობის მონტაჟი	12,630	9,349	3,281	26%
ჯამი	X	X	80,455	58,145	22,310	28%

6. სხვა განმარტებები

ა) ხელფასები

სამინისტროში ხელფასების დარიცხვის საფუძველად არ არის დადგენილი და ნაწარმოები სამუშაო დროის გამოყენების ყოველთვიური აღრიცხვა (სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალი ან/და სპეციალური ტექნიკური საშუალება) შესაბამისად ამ კუთხით არ წარმოებს სათანადო კონტროლი, რომელიც უნდა განახორციელოს იურიდიული, საქმისწარმოებისა და კადრების სამმართველოს პასუხისმგებელმა პირმა⁹.

ბ) პრემიები

სამინისტროს მუშაკებზე მინისტრის ბრძანებების საფუძველზე გაცემულია პრემიები მთელი წლის განმავლობაში 83,930.00 ლარის ოდენობით. ერთ მუშაკზე გაცემული პრემიის მოცულობა ძირითადად შეადგენდა თანამდებობრივი სარგოს 0.5-1.5-ის და ერთეულ შემთხვევებში 1.7-1.9 მოცულობებს, გამონაკლისია მხოლოდ შემდეგ თანამშრომლებზე გაცემული პრემიის მოცულობები, რომელთა პრემიები აღემატება ორ თანამდებობრივ სარგოს:

⁹საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერი №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 30-ე მუხლის მე-15 პუნქტის მოთხოვნა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის მე-12 მუხლის მოთხოვნა.

თანამდებობა	სახელი, გვარი	თანამდებობობრივი სარგო	გაცემული თანხა	პრემიის მოცულობა (4/3)
1	2	3	4	5
მინისტრის მოადგილე	მანანა ქვაჩაია	1870	4000	2.1
სამსახურის უფროსი	თეიმურაზ ურიდია	1070	3990	3.7
დეპარტამენტის უფროსი	ირაკლი გელენავა	1150	2500	2.2

ხშირ შემთხვევებში პრემიები გაცემულია ყოველგვარი არგუმენტირების (დასაბუთების) გარეშე, კერძოდ მინისტრის ბრძანებებში პრემიების გაცემის საფუძვლები ან საერთოდ არ აისახება ან გამოიყენება ერთი და იგივე შაბლონური ტექსტები („სამუშაოს წარმატებითა და განსაკუთრებით ეფექტურად შესრულებისათვის“ და „სამსახურებრივ მოვალეობათა სანიმუშო შესრულებისათვის“), ხოლო კონკრეტულად თუ რა სამუშაოების შესრულებისთვის გაიცემა პრემია ასახული არ არის, არც წახალისებული მოსამსახურის უშუალო უფროსის ან/და სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათებია წარმოდგენილი მოსამსახურის კონკრეტული დამსახურების მითითებით¹⁰.

7. სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების განხორციელება

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით, სამინისტროს განსაზღვრული ჰქონდა 6 ძირითადი მიზნობრივი პროგრამის შესრულება, რომლებიც თავის მხრივ დაყოფილი იყო ქვეპროგრამებად; პროგრამები ძირითადად ითვალისწინებდა კულტურული, საგანმანათლებლო და სპორტული ღონისძიებების განხორციელებას.

2013 წლის სახელმწიფო პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ დამტკიცებული იყო პროგრამები და ხარჯთაღრიცხვები; რიგი პროგრამებისათვის შეიქმნა კომისიები, რომელთა გადაწყვეტილებებით ხდებოდა თანხების მიზნობრივად ხარჯვა.

აღნიშნულ პროგრამებზე დაზუსტებული გეგმით განსაზღვრული იყო 354.68.00 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 352.99.00 ათასი ლარი.

*ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა
(ქვეპროგრამის კოდი 06 09 01)*

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით დამტკიცდა ხელოვნების ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების მხარდაჭერის პროგრამა (ქვეპროგრამის კოდით 06 09 01), რომელიც ითვალისწინებდა თბილისის ხელოვნების სკოლებში მოსწავლე, აფხაზეთიდან დევნილი ნიჭიერი ახალგაზრდების სწავლების დაფინანსებას.

¹⁰ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს შინაგანაწესის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა.

ზემოაღნიშნული პროგრამების შესრულებასთან დაკავშირებით მინისტრის მიერ დამტკიცებული პროგრამით ბენეფიციარებად განისაზღვრნენ მხოლოდ ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი #1“-ის, ა(ა)იპ ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი #2“-ის და ა(ა)იპ ხელოვნების სამხატვრო სკოლა „აფხაზეთი #1“-ის აფხაზეთიდან დევნილი განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეული მოსწავლეები. ამ კატეგორიის მოსწავლეების სიის განსაზღვრას უზრუნველყოფდა შესაბამისი სკოლის დირექცია. პროგრამის ფარგლებში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტრო აღნიშნულ ბენეფიციარებს, სკოლებთან გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებების საფუძველზე, უზრუნველყოფდა ყოველთვიური ფინანსური დახმარებით – სწავლის ქირის გადასახადით, რომელიც ჩაირიცხებოდა მათი სკოლების ანგარიშზე. პროგრამის შესრულება სკოლების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება:

(ლარი)

N	დასახელება	გეგმა	საკასო	შესრულების %
1	ხელოვნების სკოლა „აფხაზეთი N1“	23,000	23,000	100
2	ხელოვნების სკოლა აფხაზეთი N2	23,000	23,000	100
3	ხელოვნების სამხატვრო სკოლა N1	5,000	4,900	98
ჯამი	X	51,000	50,900	99

აუდიტის ჯგუფი:

გიორგი ფრუიძე

08 აპრილი 2014 წელი